გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(50) 2013 წ. 16-30 ივნისი ფასი 50 თეთრი

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ცისმარ თედიაშვილი

დაიბადა 1978 წელს

1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა პროგრამისტის, მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

2000-2001 წლებში მუშაობდა კომპიუტერის შემსწავლელ ცენტრ „გამა“-ში პროგრამების შემსწავლელი კურსების პედაგოგად.

2002-2004 წლებში საგარეჯოს მრავალდარგოვანი კოლეჯის „გოცი“-ს კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელია.

2002-2008 წლებში საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯის ინფორმატიკის პედაგოგია.

2004-2008 წლებში საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლის ინფორმატიკის პედაგოგია.

2006-2007 წლებში საგარეჯოს II საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერია.

2007-2009 წლებში საპროექტო ფირმა „მოდულის“ პროექტების აწყობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტია.

2009-2010 წლებში გლობალური ბიზნესის განვითარების ცენტრის პროექტის კოორდინატორია.

2010 წლიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე მუშაობდა შპს „სიგულდა“-ში ვიდეო სტუდიის მთავარ მემონტაჟედ.

2012 წლის 5 დეკემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეა.

დასაოჯახებელია.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა

996 957 ლარი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №25 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულებით №1-59 დანართებით გათვალისწინებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყო 49 993 821 ლარი, მათგან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოუყო 996 957 ლარი, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებზე:

გომბორში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) გამოყოფილია **16479** ლარი, ხოლო სარიტუალო დარბაზის კეთილოწყობისათვის – 3000 ლარი;

რუსიანში – სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მიწის ვაკისის აღდგენა) – **5385** ლარი;

ვერონაში – სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა-რეაბილიტაციისათვის – **5611** ლარი;

ვაშლიანში – სანიაღვრე არხების გასაწმენდად – **2390** ლარი;

ასკილაურში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **5762** ლარი;

უჯარმაში – სკვერის მოსაწყობად – 10617 ლარი, ხოლო შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **3500** ლარი;

პალდოში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **2403** ლარი;

მუხროვანში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **2214** ლარი;

კოჭბანში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **6341** ლარი;

ოთარაანთ კარში – მოსაცდელის მოწყობისათვის – **2378** ლარი;

სასადილოში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **5196** ლარი;

გორანაში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **5599** ლარი;

იკვლივ გორანაში – საცალფეხო ხიდის მშენებლობისათვის – **2441** ლარი;

ხაშმში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **12000** ლარი, საბავშვო ბაღის ეზოს რეაბილიტაციისათვის – **19695** ლარი, სასაფლაოს გზაზე ცხაურების მოსაწყობად – **1200** ლარი;

პატარძეულში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **52908** ლარი;

ნინოწმინდაში – საბავშვო ბაღში სველი წერტილების მოწყობისათვის **5000** ლარი, სოფლის სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის – **20000** ლარი, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა და სანიაღვრე არხების მოსაწყობად **16957** ლარი;

წყაროსთავში – ორი უბნის დამაკავშირებელი საფეხმავალო ხიდის მოწყობისათვის – **7500** ლარი, ორი უბნის ვენახებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **6200** ლარი, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **12838** ლარი;

გიორგიწმინდაში – სოფლის ცენტრალური გზის 2.6 კმ-ის რეაბილიტაციისათვის – **29200** ლარი, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწესრიგებისათვის, რეზერვუარების გასაწმენდად – **14469** ლარი;

ანთოკში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოსაწესრიგებლად, რეზერვუარების გასაწმენდად – **5133** ლარი;

მარიამჯვარში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და სისტემის გაწმენდისა და დაქლორვისათვის – **2189** ლარი;

თოხლიაურში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **28048** ლარი;

სათაფლეში – სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის – **5636** ლარი;

მანავში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **54733** ლარი,

ბურდიანში – სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის – **2629** ლარი;

დიდ ჩაილურში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **24776** ლარი;

პატარა ჩაილურში – სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისათვის – **17700** ლარი, სასმელი წყლის რეზერვუარის შეძენისათვის – **2720** ლარი, სპორტდარბაზის იატაკის რეაბილიტაციისათვის – **5300**;

კაკაბეთში – „საბას წყლის“ რეაბილიტაციისათვის – **55274** ლარი;

ვერხვიანში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **7423** ლარი,საბავშვო ბაღში წყლის შეყვანისა და სველი წერტილების მოსაწყობად – **7500** ლარი;

ყანდაურაში – სასაფლაოს შემოღობვისათვის – **5230** ლარი, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **7500** ლარი, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის – **12000** ლარი, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **2500** ლარი;

ზემო ყანდაურაში – სასმელი წყლის სათავის შეკეთებისათვის – **2503** ლარი;

ბადიაურში – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის – **31258** ლარი;

მზისგულში – სასაფლაოს შემოსაღობად – **16182** ლარი;

შიბლიანში – სასმელი წყლის ყველა უბნისათვის მიწოდება და რეზერვუარის მოწყობისათვის – **15238** ლარი;

იორმუღანლოში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **37398** ლარი, სასმელი წყლის რეზერვუარის შესაძენად – **5000** ლარი;

ქეშალოში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) **36064** ლარი, სასაფლაოს შემოსაღობად – **25000** ლარი;

დუზაგრამაში, პალდოსა და წიწმატიანში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **39890** ლარი;

პალდოსა და წიწმატიანში – სანიაღვრე არხების გასაწმენდად – **25000** ლარი;

წიწმატიანში – სასმელი წყლის ჭაბურღილის ძრავის შესაძენად – **1500** ლარი;

ზემო ლამბალოში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **65508** ლარი;

ქვემო ლამბალოში – სასაფლაოს შემოსაღობად – **29131** ლარი, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **29130** ლარი, სანიაღვრე არხების ამოსაწმენდად – **5000** ლარი, წყლის რეზერვუარის შესაძენად – **4500** ლარი;

თულარში – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის (მიწის ვაკისის აღდგენა) – **54863** ლარი, წყლის საქაჩი ძრავის შესაძენად – **1500** ლარი, სასმელი წყლის რეზერვუარის შესაძენად – **4500** ლარი;

კაზლარში – სასმელი წყლის სისტემის მოწყობისა და რეზერვუარების შესაძენად – **10000**, სასაფლაოს შემოსაღობად **16400** ლარი;

უდაბნოში – სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციისათვის – **17818** ლარი.

P.S. პროექტში შესაძლებელია ცვლილებების შეტანაც.

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ქურდოვანიძე

დაიბადა 1984 წელს ქ. საგარეჯოში

საგარეჯოს II საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 2007 წელს დაამთავრა და მიენიჭა სამართალმცოდნის კვალიფიკაცია.

მუშაობდა ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისი“-ში ექსპედიტორად.

2013 წლის 1 აპრილიდან დღემდე მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარ სპეციალისტად არქიტექტურა-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის დარგში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

18 ივნისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჭიაურელი**, თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ბუზარიაშვილი**, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ცისმარ თედიაშვილი**, საკრებულოს 22 დეპუტატი და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ დეპუტატებს დღის წესრიგი გააცნო – „ბრალდებული გიორგი ლოლაძის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ“.

როგორც მან აღნიშნა: – საკრებულოში შემოსულია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №14/2494 16 ივნისი 2013წ. (ბრალდებულების თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე/. აღნიშნული განჩინებით დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის სამმართველოს პროკურორის შუამდგომლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და ბრალდებული გიორგი ლოლაძე საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე გადაყენებულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან. განჩინების დაუყოვნებლივ შესრულება და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინება დაევალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რისი მიხედვითაც ცნობად იქნა მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს №14/2494 16 ივნისი 2013წ. განჩინების /ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე/ აღსასრულებლად ბრალდებული გიორგი ლოლაძის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენების უზრუნველყოფა და მისი მოვალეობის შესრულების დაკისრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ თანამდებობის პირზე.

საკრებულომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობა დააკისრა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ცისმარ თედიაშვილს.

სასოფლო-სამეურნეო ბარათები მუნიციპალიტეტის მოსახლეობას

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის მიმდინარე გაზაფხულზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე მთლიანად გასცა 18598 სასოფლო-სამეურნეო ბარათი, საიდანაც 12153 ნომინალურია, 6445 კი – კომბინირებული.

მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტებიდან ყველაზე მეტი ნომინალური ბარათი გაცემულია ქალაქ საგარეჯოს მოსახლეობაზე (1702 ბარათი), შემდეგ მოდის კაკაბეთი (1142) და პატარძეულის მოსახლეობა – 953 ბარათი. ამავე პერიოდისათვის მზისგულში გაცემული იყო 306, თოხლიაურში – 353, სათაფლეში – 53, ასკილაურში – 33, გომბორში – 335, გიორგიწმინდაში 872, თულარში – 49, გორანაში – 51, ლამბალოში –375, მუხროვანში – 18, ყანდაურაში – 449, ვაშლიანში – 6, ვერონაში – 12, კაზლარში – 85, იკვლივ გორანაში – 2, მანავში – 870, პალდოში – 15, პატარა ჩაილურში 430, რუსიანში – 18, დუზაგრამაში – 306, იორმუღანლოში – 132, კოჭბანში – 97, სასადილოში – 62, ნინოწმინდაში – 693, წყაროსთავში – 273, უჯარმაში – 359, ხაშმში – 723, ბადიაურში – 473, შიბლიანში – 193, დიდ ჩაილურში – 304, უდაბნოში – 36, ვერხვიანში – 104 ბარათი.

რაც შეეხება კომბინირებულ ბარათებს – ყველაზე მეტი ეს ბარათი დაურიგდა პატარძეულის მოსახლეობას (919), 739 ბარათი მიიღო საგარეჯოს მოსახლეობამ, კაკაბეთის მოსახლეობამ – 678. მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლების მიხედვით ბარათების დარიგების სურათი ასეთია: გიორგიწმინდაში გაიცა 350 ბარათი, წყაროსთავში – 150, მზისგულში – 155, გომბორში – 337, დუზაგრამაში – 96, თოხლიაურში – 211, იორმუღანლოში – 193, კოჭბანში – 180, ლამბალოში – 58, უჯარმის თემის სოფლებში – 177, ნინოწმინდაში 304, პატარა ჩაილურში – 165, ყანდაურაში – 242, ხაშმში – 227, თულარში – 115, სათაფლეში – 15, ბადიაურში – 232, შიბლიანში – 104, დიდ ჩაილურში – 181, მანავში – 506, ვერხვიანში 104.

მიღებული სასოფლო-სამეურნეო ბარათებიდან მოსახლეობამ მაქსიმალურად გამოიყენა ნომინალური ბარათები, რითაც შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და შხამქიმიკატები. რაც შეეხება კომბინირებულ ბარათებს – მოსახლეობის მიერ მიწის დამუშავებისათვის გამოყენებულია ბარათების 70%. 1900 ბარათი (30%) დაბრუნდა ნომინალურ ბარათებზე გადასაცვლელად.

გ. ღაბახიშვილი

ინყება მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის საგზალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2013 წლის 15 ივლისიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. 2002 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ კამპანიური ხასიათის ასეთი მუშაობა საქართველოში აღარ ჩატარებულა. 2002 წლის აღწერით საქართველოში 4370000 მცხოვრები იყო. მართალია გასულ წლებში რეესტრისა და რეგისტრის მიერ კარგად განხორციელდა მოსახლეობის აღწერა, მაგრამ ცდომილება ხშირად დიდია. დღეის მონაცემებით საქართველოში 4483000 კაცი ცხოვრობს, მაგრამ ბუნებრივი მატება – შობადობა და სიკვდილიანობა, მიგრაციული რიცხვი მაინც დიდ ცდომილებას იძლევა.. როგორც ცნობილია, საქართველოში მოსახლეობის დასახმარებლად გაეროს მიერ არაერთი სასარგებლო პროგრამა ხორციელდება, ამდენად, ამ პროგრამებში მოსახლეობის ფართო მასების ჩასართავად აუცილებელი ხდება მოსახლეობის რიცხვის დაზუსტება. ამიტომ მომავალი აღწერა, რომელიც 2014 წლიდან დაიწყება, გაეროს რეკომენდაციებს ეყრდნობა და სათანადოდ იქნება აღჭურვილი. მანამდე კი, 2013 წლის 15 ივლისიდან ქვეყანაში მომავალი წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები იწყება. ეს პროცესი სტარტს კახეთის რეგიონიდან აიღებს.

ჩვენ გვწერენ

მალე იმედი ხორცს შეისხამს

ამედგაცრუებულ მეანაბრეთათვის ჩემს ოჯახში დიდი პოპულარობით სარგებლობს ზეპარტიული გაზეთი „ასავალ-დასავალი“, რომელსაც წაუკითხავს არ ვტოვებთ. ასე იყო ამ დღეებშიც, როცა 2013 წლის 10-16 ივნისის №23-ში სასიხარულო და ყველა მეანაბრესათვის იმედისმომცემი ინფორმაცია ამოვიკითხეთ.

საქმე ეხება ამ გაზეთის აღნიშნული ნომრის 29-ე გვერდზე ცნობილი იურისტის, სამართალმცოდნე აკადემიკოსის უშანგი დონჟაშვილის სასიხარულო ინფორმაციას. აკადემიკოსი უშანგი დონჟაშვილი მთელი საქართველოს წინა ხელისუფლების დროს მოტყუებული შემნახველ სალაროებში დანაზოგების შემტან მოქალაქეებს ატყობინებდა, რომ 16-წლიანი უანგარო შრომით მეანაბრეთა საქმეზე მუშაობამ შედეგი გამოიღო და სტრასბურგში ევროპის სასამართლოში საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოს უშანგი დონჟაშვილის მიერ შეტანილი სარჩელი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ჩემთვის, ხანდაზმული შრომის ვეტერანისა და დამსახურებული პენსიონერისათვის იმდენად მოულოდნელი და სასიხარულო იყო გაზეთის ამ კორესპონდენციის წაკითხვა, რომ გადავწყვიტე, ჩემი ამ პატარა წერილით ყველა მოტყუებულ მეანაბრეს ვაცნობო ეს სასიხარულო გამარჯვება.

ბ-ნ უშანგი დონჟაშვილს ვიცნობდი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა ახალგაზრდა იურისტი მუშაობდა საგარეჯოს რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად, მე კი ამ წერილის ავტორი ვმუშაობდი საგარეჯოს რაიონის კომკავშირის რაიკომში. მაშინ უშანგი დონჟაშვილი ჩვენი პროპაგანდისტი იყო და ი. სტალინის ბიოგრაფიას გვასწავლიდა.

უშანგი დონჟაშვილი მალე თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ და ის თავის პროფესიულ საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მან გულთან მიიტანა წინა მთავრობის მიერ უსინდისოდ მოტყუებული მეანაბრეების ინტერესების დაცვა და სრულიად უანგაროდ, თითქმის 2 ათეული წელი თავდადებით იბრძოდა მეანაბრეებისათვის დაებრუნებინა წართმეული შრომითი დანაზოგები.

ბატონმა უშანგი დონჟაშვილმა სრული 16 წელი იღვაწა მეანაბრეებისათვის დაებრუნებინა მეანაბრეთა ვალი, რომელიც შეადგენდა ლარებში 2 197 647 580 (ორი მილიარდ ასორმოცდაჩვიდმეტი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათას ხუთასოთხმოც) ლარს, დოლარებში – 1 329 490 369 (ერთი მილიარდ სამასოცდაცხრა მილიონნ ოთხასოთხმოცდაათიათას სამასსამოცდაცხრა) ლარს.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილიო – 2,5 მილიონი მეანაბრე მოუთმენლად ელოდება საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული ახალი ხელისუფლების შეპირებას, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ეტაპობრივად დააკმაყოფილებს, როგორც ცოცხლად დარჩენილ მეანაბრეებს, ისე გარდაცვლილ მეანაბრეთა მემკვიდრეებს. მით უფრო ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამით საქართველოს ამომრჩევლები დარწმუნებილი არიან, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეასრულებს ამ დანაპირებს 2013 წლის დეკემბრიდან.

ელისო გილაშვილი-ელერდაშვილი

ხანდაზმული შრომის ვეტერანი, პენსიონერი, მეანაბრე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 25 ივნისის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **ცისმარ თედიაშვილი** უძღვებოდა. მან თათბირის მონაწილეებს გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ძურდოვანიძე** წარუდგინა.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა ბაზერაშვილმა გააკეთა ზეპირი ინფორმაცია იმ ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულთათვის, სადაც ქუჩებს და მოსახლეთა სახლებს მინიჭებული აქვს ნუმერაცია. როგორც მან აღნიშნა, რწმუნებული აღარ გასცემს ცნობას მოქალაქის ადგილობრივი მაცხოვრებლის შესახებ, რადგან სამოქალაქო რეესტრში მოქალაქე ქუჩის ნომრის წარდგენის შემდეგ მიიღებს შესაბამის სერვის-მომსახურებას – მასზე გაიცემა პირადობის მოწმობა. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის საცხოვრებელ სახლს არა აქვს ნომერი მინიჭებული, მან განცხადებით უნდა მიმართოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნულ კომისიას, რომელიც საკითხის განხილვის შემდეგ სახლს მიანიჭებს შესაბამის ნუმერაციას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების მდგომარეობა. როგორც მან აღნიშნა, თავთავიანი კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა წინა წელთან შედარებით საკმაოდ მაღალია. მოსავლის აღებაზე სრულ მზადყოფნას გამოთქვამს შპს „მექანიზატორი“ . სამომავლოდ აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის შემუშავება თავთავიანი კულტურების სასაწყობო მეურნეობის შესაქმნელად. ამასთან, ქალაქისა და სოფლის რწმუნებულებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საქონლის ბინების აღწერის კამპანიის დაწყების შესახებ.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტმა ჯიმშერ ოსიაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ქალაქისა და სოფლების რწმუნებულებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თურქულზე აცრის მიმდინარეობასა და ამ საქმეში გრაფიკის დასაცავად რწმუნებულებს დახმარება სთხოვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა სოსო თედიაშვილმა ქალაქისა და სოფლის რწმუნებულებს აუხსნა სოფლის მოსახლეობის კუთვნილი მსხვილფეხა საქონლის ნახირის მიერ რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის გადაკვეთის წესებისა და მათთვის ნებადართული ადგილების შესახებ. აღნიშნა, რომ ავტომაგისტრალი რესპუბლიკური მნიშვნელობისაა და აქ ხედვითი არე 150 მეტრ რადიუსს უნდა შეადგენდეს, ამიტომ საქონლის გადასარეკი ნიშნები სწორედ ასეთ ადგილებში უნდა დაიდგას და არა იქ, სადაც მოსახლეობას მოესურვება.

ამასთან, სამსახურის უფროსმა მეტი პასუხისმგებლობა და კონტროლზე აქტიურობა სთხოვა ქალაქისა და სოფლის რწმუნებულებს იმ მშენებლობაში ჩასართავად, რომელიც მალე დაიწყება ყველგან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიხედვით. თათბირზე გაკეთდა ინფორმაცია, რომ ინერტული მასალების ამოღება სოფლებთან ახლომდებარე ხევებიდან აიკრძალა. ეს ინერტული მასალა გამოიყენებოდა სასოფლო გზებისა და ვენახებთან მისასვლელი გზების მოსახრეშად. აღნიშნული მასალა დამუშავებული უნდა იქნას მიღებული შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, – აღნიშნა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, – წვრილი და მსხვილი ფორმის ფრაქცია (ქვა) უნდა დაიმსხვრეს და ისე იქნეს გამოყენებული.

თათბირის მონაწილეებმა ისაუბრეს ცალკეულ სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ და დასახეს შესაბამისი ღონისძიებები.

„მექანიზაციორმა" მადლიერება დაიმსახურა

მათი ხელითა და ტექნიკით ყამირი მიწები დამუშავდა

შპს-ს დირექტორი გია მარხვაშვილი

ამიმდინარე წლის გაზაფხული მართლაც უჩვეულო, მოულოდნელი სიურპრიზებით სავსე აღმოჩნდა ქართველი მიწათმოქმედებისათვის. საქართველოს ახლადარჩეულმა მთავრობამ, მისმა თავკაცმა საქართველოში მართლაც და უპრეცედენტო კამპანია წამოიწყო და მის ხორცშესხმას ზამთრიდანვე შეუდგა. სოფლის მეურნეობის საგაზაფხულო პროგრამა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი კაცისათვის, რომ ერთ ხანს კიდეც დაიბნა – მცირემიწიან ფერმერებს საშუალება მიეცათ მთავრობისგან ნაჩუქარი თანხით დაემუშავებინათ მიწის ნაკვეთები, შეეძინათ სასოფლო-სამეურნეო იარაღი. თითქმის დაუჯერებელი ხდებოდა მიწის ფართობის უფასოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოხვნა და დადისკვა. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბარათების მიღებამდეც ახლა ფიქრი იყო იმისა, ვინ, როგორ დაამუშავებდა და გაამზადებდა დასათესად მიწის ამ ნაკვეთებს. ამ კამპანიური ხასიათის მუშაობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შპს „მექანიზატორის" საგარეჯოს მექანიზაციის სერვის-ცენტრი ჩაერთო, რომლის დირექტორი **გია მარხვაშვილია.** სერვის-ცენტრი 2009 წლის მარტიდან საგარეჯოსა და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიწათმოქმედებს ემსახურება.

როგორც ჩვენთან საუბარში სერვის-ცენტრის დირექტორმა **გია მარხვაშვილმა** აღნიშნა: – სერვის-ცენტრში 32 მექანიზატორია, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას მართლაც რომ პროფესიულად არიან დაუფლებული. აქედან 27-მა მექანიზატორმა სპეციალური კურსები გაიარა კაჭრეთის სასოფლო-სამეურნეო პროფესიულ ტექნიკუმში მექანიზატორის პროფესიის უკეთ დასაუფლებლად. მათი კურსებზე სწავლა სახელმწიფოს მიერ იქნა დაფინანსებული. გვყავს გამოცდილი მექანიზატორები, რომელთა შრომითი გამოცდილება 30-40 წელს სცილდება. ასეთები არიან დავით დარისპანაშვილი (რომლის ორი შვილიც ჩვენი მექანიზატორები არიან), გია თედიაშვილი, იოსებ ივანიაშვილი, ალექსანდრე დარისპანაშვილი (მისი შვილიც ჩვენი მექანიზატორია), ვარლამ ბარიხაშვილი. მექანიზატორები კარგად არიან დაუფლებული ისეთი მარკის ტრაქტორების მართვას, როგორიცაა „ნიუ ჰოლანდი", ამერიკული „ჯონდირის" მარკის კომბაინი. ასევე გვყავს „ბელარუსის" მარკის ტრაქტორები, „კლასის" ტიპის ტრაქტორი, რომელსაც ერთდროულად შეუძლია ისეთი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციის შესრულება, როგორიცაა ხვნა, კულტივაცია, თესვა.

ჩვენს ცენტრში არსებულ ტექნიკას ყველა იმ სამუშაოს შესრულება შეუძლია, რაც მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული: ნიადაგის მზრალად და ანეულად მოხვნა, ნიადაგის ღრმად დამუშავება, ნასვენი მიწების მოხვნა, რაც სწორედ ამ გაზაფხულზე მასიურად განხორციელდა, ხნულის დაფარცხვა, დადისკვა, ხნულის ვერტიკალურად ფრეზირება და შესაბამისად, ნიადაგის მოსწორება, ვენახის ფრეზირება, სასუქის შეტანა, საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა, მოსავლის აღება, ნათეს-ნარგავების ჰერბიციდებით დამუშავება, ვენახების და ბაღების წამლობა, არხის გაჭრა, სარწყავი მილის გაშლა, ბალახის თიბვა, დაწნეხა და ა.შ. ამ ოპერაციების ხარისხიანად შესრულებას

მექანიზატორი გურამ დარისპანაშვილი მითითებას იღებს დირექტორისაგან

კაცს, რომელიც ყოველწლიურად ამუშავებს მიწას, უკვე მოხნული და დათესილი ჰქონდა თავისი ფართობები. ასეთი მიწის მოხვნა ადვილია, რადგან ყოველწლიურად მიწის დამუშავება მიწას უკვე თავის სახეს აძლევს. მაგრამ ჩვენ უკვე მიწის ისეთ ფართობებზე მოგვიწია შესვლა და დამუშავება, რომლებიც, როგორც გითხარით, წლების განმავლობაში დაუმუშავებელი იყო. ზოგჯერ ისეთ ადგილებზე გვიხდებოდა მისვლა, სადაც ტრანსპორტი ათეული წლებით არ იყო გავლილი და შესული. იყო წინააღმდეგობებიც, ზოგან ადგილები დაჭაობებული იყო, ზოგან სადღაც, გაუთვალისწინებელი წინაღობა გვიზიანებდა ტექნიკას, მაგრამ ადგილზევე ხდებოდა მისი შეკეთება და არც ერთი ბენეფიციარისათვის უარი არ გვითქვამს ნიადაგის დამუშავებაზე. დღეში ერთი მექანიზატორი 10 ჰექტარ ფართობსაც ხნავდა. ზოგჯერ იყო შემთხვევა და ჩვენი მექანიზატორები ღამითაც მუშაობდნენ. იყო შემთხვევები, როცა ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთის მოსახნავად ერთჯერადად 15-20 კილომეტრიც გაუვლიათ. ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი მიწის ფართობები ჩვენს მიერ პატარძეულში დამუშავდა. ასევე, აქტიურობდნენ ნინოწმინდელი, გიორგიწმინელი მიწის მესაკუთრეებიც. შედარებით ცოტა იყო მთის ზონის სოფლებიდან, მანავიდან, ხაშმიდან.

სანამ ჩვენს მუნიციპალიტეტში დარიგდებოდა სასოფლო-სამეურნეო ბარათები, ჩვენი 16 მექანიზატორი ამ პროგრამით მიწის დასამუშავებლად მივლინებული იყვნენ მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში. ერთი თვით ამავე მისიით იყვნენ წასული წყალტუბოში, ქობულეთსა და ბათუმში გიორგი გოდერძიშვილი, ოთარ ივანიაშვილი.

მინდა ჩვენი სერვის-ცენტრის მექანიზატორებს მე თავად, ამავე სერვის-ცენტრის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ მოვუხადო მადლობა მათ მიერ გაწეული შრომისა და

კომბაინერი დიმიტრი ბარიხაშვილი

ყვანეს ე.წ. „გერმანელების სასაფლაოზე" მდებარე მიწის ნაკვეთებში. საოცარი ის იყო, რომ მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, რაც ზოგჯერ ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლასაც იწვევდა, დირექტორსაც და მექანიზატორებსაც უხაროდათ ასეთი ყამირი მიწების საბოლოოდ დამუშავება.

ვასიკო დარბაისელი – ქალაქის რწმუნებულის თანაშემწე: – შპს „მექანიზატორის" ხელმძღვანელიც და მექანიზატორებიც იმდენად იყვნენ მობილიზებულნი და მონდომებულნი საქმის კეთებისათვის, რომ შეიძლება გეფიქრათ, რომ ასეთი ტიპის, მხედველობაში მაქვს ყამირი მიწების დამუშავება მათთვის ყოველდღიური საზრუნავი იყო. არ იყო მათი მხრიდან არც დაგვიანება, არც გაცდენა, არც წინააღმდეგობა. ერთი სიტყვით, დაწყებული დირექტორიდან, ყველა დარაზმული იყო იმ მოთმინების, პასუხისმგებლობისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ თითოეულ სამუშაო დღეს. ისე კი, ჩვენს მიერ გაწეულ მუშაობასა და მომსახურებაზე თავად მიწის მეპატრონეებმა შეიძლება გიპასუხოთ, მაგრამ, არ მგონია, ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყოს.

დღეს ჩვენი მექანიზატორები ხორბლის მოსავალს იღებენ. უკვე აიღეს ქერი.

სერვის-ცენტრის მექანიზატორთა მუშაობის შეფასება ჩვენი ქალაქის რწმუნებულის თანაშემწეებს, სოფლის რწმუნებულებს ვთხოვეთ.

ვახტანგ ძურდოვანიძე – ქალაქ საგარეჯოს რწმუნებულის თანაშემწე: – ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მცირემიწიანი ფართობების მქონე ფერმერთა მიწის დამუშავებას შპს „მექანიზატორის" სერვის-ცენტრის მექანიზატორების მიერ პირადად ვადევნებდით თვალ-ყურს. მექანიზატორების გვერდით ყოველდღიურად თავად სერვის-ცენტრის ხელმძღვანელი გია მარხვაშვილიც იყო. ზოგიერთი ისეთი ადგილი იყო მოსახნავად, სადაც თავდაპირველად ტრაქტორი ვეღარც კი შედიოდა, იყო ადგილები ყამირი, რომლის მოხვნა-დამუშავებას ორმაგი საწვავი სჭირდებოდა. ასეთი ადგილები იყო ე.წ. „ხალაჯებში", „სააღალოში", ივრის „დაკიდულ ხიდთან". ერთ დღეს სხვადასხვა სამი ტიპის ტრაქტორი შეიქმის კეთებისათვის. მე თვითონ ახლაც მიკვირს, მათ მიერ იმ 10 ჰექტარი მიწის დამუშავება, რომლის დამუშავებაზე ყველა შემთხვევაში უარს იტყოდა სხვა მექანიზატორი, სხვა სერვის-ცენტრი. საუბარი მაქვს მეძროხეობის კომპლექსის მიმდებარე 10 ჰექტარი მიწის ფართობზე, რომელიც 10-15 წელია დაუმუშავებელი იყო. მაგრამ მათ ძალიან გაბედულად, დიდი პროფესიონალობით შეძლეს იმ მიწის ათვისება. ჩვენ შევადგინეთ წინასწარ გეგმა-გრაფიკი ტოპონიმების, ადგილმდებარეობის მიხედვით, რაც ძალიან გვიადვილებდა მუშაობას.

გიორგი ჭიაბერაშვილი – გიორგიწმინდის თემის რწმუნებული: – ჩვენი თემის მოსახლეობიდან კომბინირებული ბარათის მფლობელ 115 ოჯახს შპს „მექანიზატორის" მექანიზატორებმა დაუმუშავეს მიწის ნაკვეთები. მოიხნა და დამუშავდა 136 ჰა მიწა. მექანიზატორები ისეთ მიწის ნაკვეთებს ამუშავებდნენ, სხვა დროს სხვა, კერძო მექანიზატორებმა უარი რომ თქვეს – ყამირი, აუთვისებელი და ძნელად დამუშავების გამო. მაგრამ „მექანიზატორებიდან" არც ერთს არ უთქვამს უარი, პირიქით, თავად მიწის მესაკუთრეც გაკვირვებული და ძალიან კმაყოფილი, მადლობელი დარჩა მათი მუშაობით.

მალხაზ წიკლაური – კოჭბანის თემის რწმუნებული: – ჩვენი თემის 30 ოჯახს შპს „მექანიზატორის" მექანიზატორებმა კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათებით 20 ჰექტარი მიწის ნაკვეთები დაუმუშავეს. ჩვენ მთის ზონის სოფლებს მივეკუთვნებით. ძნელია ჩვენთან ტექნიკით რაიმეს გაკეთება, რადგან შეიძლება ისეთი ნაწილი დაუზიანდეს ტრაქტორს, რომ ძნელი იყოს მისი შემდგომი ამოქმედება. „მექანიზატორის" მექანიზატორები კი კვალიფიციური ადამიანები არიან – მათ შეძლეს ნასვენი მიწების დამუშავება და ჩვენი მოსახლეობის დიდი მადლობის დამსახურება. მათთან ერთად ყოველთვის იყო დირექტორი გია მარხვაშვილი, რომელიც ძალიან გულისხმიერი ადამიანია.

ნიკო უნაფძოშვილი – პატარძეულის რწმუნებული: ჩვენს სოფელში დაახლოებით 200 ჰა მიწის ფართობი შპს „მექანიზატორის" მექანიზატორების მიერ იქნა დამუშავებული. სოფლის 919 ოჯახზე გაიცა კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი, მაგრამ ყველამ ვერ შეძლო ამ ბარათით სარგებლობა. მათ სურვილი აქვთ ივლისში მოხნან და დაამუშაონ თავიანთი ნაკვეთები, ამ საქმეში კი აღნიშნული შპს „მექანიზატორის" ხელმძღვანელისა და მექანიზატორების თანამშრომლობისა და გულისხმიერების იმედი აქვთ კვლავაც.

შპს-ს თანამშრომელთა ერთი ნაწილი

„მწვანე თვის“ აქცია მარიამჯვარში ბუნებას — მზრუნველი ხელი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ივნისის თვეში ჩაატარა გარემოს დაცვისა და დასუფთავების ფართომასშტაბიანი აქცია, სახელწოდებით „მწვანე თვე“. 16 ივნისს ამ აქციას შეუერთდა მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაც. მისმა თანამშრომლებმა , საგარეჯოს I საჯარო სკოლის ეკოკლუბის X-XI კლასების მოსწავლეების (ხელმძღ: ნონა ტიგინაშვილი) მონაწილეობით მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარეს დასუფთავების აქცია: საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ნაგვისაგან გაწმინდეს არსებული ტყის პირები. აღნიშნულ ღონისძიებაში აქციის მონაწილეებს აქტიურად ეხმარებოდა სოფლის მოსახლეობაც. სულ აქციაში მონაწილეობდა 40 ადამიანი, რომლებიც სათანადო ინვენტარითა და აღჭურვილობით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უზრუნველყო.

გ. დაბახიშვილი

სეტყვამ ვენახი, ბოსტნეულ-ბაღჩეული დააზიანა

25 ივნისის საღამოს მოსულმა სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლების: ყანდაურის, შიბლიანისა და მზისგულის მოსახლეობა. სოფელ ყანდაურაში 20 ჰექტარზე მეტი ვენახი დაისეტყვა. ასევე სეტყვამ გაანადგურა და დააზიანა შიბლიანის, მზისგულის ტერიტორიაზე არსებული ვენახები, ბაღჩეული და ბოსტნეული.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი ზარალის დამთვლელი კომისია სეტყვით მიყენებულ ზარალს დაითვლის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი შიბლიანელებთან სტიქიის შემდეგ

ყურადღება!

დავიცვათ ყანები ხანძრისაგან

საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების თანახმად თავთავიანი კულტურების მწიფობისა და ალოობის პერიოდში უნდა გაძლიერდეს მეთვალყურეობა პურის ყანებზე, ტყის მასივებთან, სარკინიგზო და საავტომობილო გზებთან მომიჯვნის ადგილები უნდა მოითიბოს და შემოიხნას 4 მეტრის სიგანის ხნულით. მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს პურის მასივების არაუმეტეს 50 ჰა ფართის ნაკვეთებად დანაწილებით.

25 ჰა-ზე მეტი ფართის ასაღებ პურის მასივებთან უშუალო სიახლოვეს უნდა იყოს მზადყოფნაში ტრაქტორი გუთნით. ასაღები ფართობები უნდა დაიყოს ნაკვეთებად, რომელთა ფართი არ უნდა აღემატებოდეს კომბაინის დღიური გამომუშავების ნორმას. მოსავლის აღების მთელ პერიოდში აკრძალულია ნამკალისა და ნაწვერალის გადაწვა, ტრაქტორებისა და ავტომობილების მუშაობა „კაპოტის გარეშე“ ან ღია კარით, ძრავის რადიატორში მტვრის ამოწვა სარჩელი ლამპით. საწვავი, საპოხი მასალებით ტექნიკის გამართვა, საშემდუღებლო სამუშაოები ღამის საათებში და ნაკვეთებში. ამისთვის სპეც გამოყოფილ ადგილებში.

მოსავლის აღების დაწყებამდე მასში მონაწილე ყველა პირმა უნდა გაიაროს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, ხოლო მოსავლის ასაღები აგრეგატები და ავტომობილები. აღჭურვილი უნდა იყოს ორი ცეცხლსაქრობით,ორი ხიშტ-ნიჩბით, ორი ნიჩბით.წყლის მარაგით,გამართული ნაპერწკალი საქრობით. ანთებისა და საზეთი სისტემები იქონიონ დარეგულირებულ მდგომარეობაში. მოსავლის ამღები მანქანების, რადიატორები, ბიტერები, ჩალის სალეწები, ამკრეფი ლილვები დროულად უნდა გათავისუფლდეს მტვრისა,ჩალისა და სხვა ნარჩენებისგან. გვახსოვდეს და მტკიცედ დავიცვათ ხანძარსაწინააღმდეგო წესები,რათა უდანაკარგოდ და ხანძრის გარეშე ჩავატაროთ წლევანდელი ალოობა.

ზაქარია ოტიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსი

ჩვენს მინდვრებში

მოსავალი იმედიანია

25 ივნისის მონაცემებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე 400 ჰექტარზეა აღებული ქერის მოსავალი. ქერის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ზოგიერთ ადგილში 1.8 ტონა, 2,5, 3 ტონი შეადგინა. ქერის მოსავალი ჩვენს მუნიციპალიტეტში 1050 ჰა-ზეა ასაღები.

24 ივნისისათვის ხორბლის ყანებიც გაიჭრა. ხორბლის მოსავალი აღებულია 150 ჰა-ზე, სადაც საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2 ტონა შეადგინა.

გასულ წელთან შედარებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მინდვრებში მარცვლეული კულტურების მოსავლის მატებას 1%-ით ვარაუდობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ყურადღება

საგარეჯოს ვეტერინალური ხელოვნური დათესვლის სამსახური გთავაზობთ:

საქონლის განაყოფიერებას ჯიშიანი ბუღისგან მიღებული სპერმით, რითაც ვიღებთ უკეთეს შთამომავლობას, რომლებიც გამოირჩევიან უკეთესი მეხორცულობით ან მერძეულობით.

გათვალისწინებულია ისეთი ჯიშის წარმოება, რომელიც არ გამოიწვევს გართულებულ მშობიარობას და მიღებული ხბოები ამტანები იქნებიან ადგილობრივ გარემოპირობებთან.

ერთი სულის განაყოფიერების ღირებულებაა 50 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 790 983 066. 557 338 066. 597 069 666. 10-დან 18 საათამდე. მისამართი: საგარეჯო, ლესელიძის ქ. №5 საგარეჯოს ვეტსამსახური.

სპეციალისტის საუბარი

ნათესი ბალახების მნიშვნელობა

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან ძირითადად ექსპორტზე ჩვენი მუნიციპალიტეტიდან გადის ცხვრისა და საქონლის ხორცი, ხოლო მეცხოველეობის დარგის წარმოება, რენტაბელურობა ძირითადად დამოკიდებულია საკვები ბაზის შექმნაზე. მრავალწლიანი კულტურებიდან ნათესი ბალახების (იონჯა, ესპარცეტი) წარმოება ხელს უწყობს არა მარტო ამ დარგის განვითარებას, არამედ ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა თესლბრუნვის სისტემაში.

მრავალმხრივი გამოყენების გამო იონჯას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ის, როგორც მწვანე მასის, ისე თივის სახით საუკეთესო საკვებს წარმოადგენს ცხოველებისათვის, მალე იზრდება და სინოყიერით პირველი ადგილი უკავია საკვებ ბალახებს შორის. ამასთან სარწყავ და ტენიან რაიონში სამჯერ-ოთხჯერ ითიბება.

იონჯა მეტად საყურადღებოა მელიორაციული თვალსაზრისითაც, მლაშობზე დაბლა წევს გრუნტის წყლებს და ნიადაგს იცავს დამლაშებისაგან.

იონჯა მრავალ ტოტსა და ფოთოლს ივითარებს, რის გამოც ბევრ წყალს ხარჯავს, მაგრამ ნიადაგში ღრმად წასული ფესვთა სისტემის მეოხებით გვალვასაც ადვილად იტანს. წყალს უფრო მეტად ყვავილობამდე საჭიროებს. განვითარებას იწყებს 5-80-ზე. ნაკლებად ხარობს ღორღიანსა და დაჭაობებულ ნიადაგებზე. მის წინამორბედად ითვლება ანეულები, სათოხნი კულტურები და თავთავიანები. თესლბრუნვისათვის საუკეთესოა და ნიადაგში აზოტის დიდ რაოდენობას ტოვებს.

იონჯის ნათესების გამოკვება სასურველია როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქით. ნათესის სასურველი სიხშირის დასაცავად ჰექტარზე საკმარისია 12-14 კგ თესლი, ფხვიერსა და მსუბუქ ნიადაგზე უნდა დაითესოს 2-3 სანტიმეტრის სიღრმეზე, მძიმე ნიადაგებში – 1-2 სმ-ზე. ჩვენი მუნიციპალიტეტის ურწყავ ზონებში ითესება ადრე გაზაფხულზე, 10 მარტიდან 1 აპრილამდე, სარწყავში – 20 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე, როგორც სუფთა სახით, ასევე ნარევად.

საკვები ღირებულების მიხედვით ესპარცეტი არ ჩამოუვარდება იონჯას. კირის დიდ რაოდენობას შეიცავს, რაც კარგ გავლენას ახდენს ცხოველის ორგანიზმზე. ურწყავ-გვალვიან რაიონებში და კირით მდიდარ ნიადაგებზე ესპარცეტს მეტოქე არ ჰყავს. მშრალ, გვალვიან რაიონებში სწორ თესლბრუნვებში შეუცვლელ კულტურას წარმოადგენს. ესპარცეტი კარგი წინამორბედია ყველა მომდევნო კულტურისათვის, განსაკუთრებით თავთავიანებისათვის. ესპარცეტის ფესვთა სისტემა ჩადის 2 მეტრ სიღრმეზე ნიადაგში და იყენებს ძნელადშესათვისებელ მინერალურ წყალს. ესპარცეტიანი ანეული საგრძნობლად ადიდებს საშემოდგომო თავთავიანების მოსავლიანობას.

ესპარცეტის თესვა უმჯობესია ზაფხულის დასასრულს. ჰექტარზე უნდა დაითესოს 100-120კგ მწკრივში სათესი მანქანით 2.5-3 სმ-ის სიღმეზე. საერთო მოვლა და მოსავლის აღება იმავე წესით ხდება, როგორც იონჯის მიმართ.

გასათვალისწინებელია, რომ თივის დამზადება არის ნათესი და ბუნებრივი ბალახებიდან თივის მისაღებად საჭირო ურთიერთდაკავშირებული პროცესების კომპლექსი. იგი შედგება ბალახის მოთიბვის, გაშრობისა და მიღებული თივის შენახვის პროცესებისაგან.

თივის დამზადებამდე უნდა განისაზღვროს ბალახის მოთიბვის ვადები ნათესების მიხედვით. დადგინდეს ბალახის მოთიბვის სიმაღლე, დამუშავდეს მიღებული მასის შრობისა და თივის მიღების ხერხები.

არსებობს თივის შენახვის ორი ხერხი – თივის ნაშალი და დაწნეხილი სახით შენახვა.

თივა მიიღება მოთიბული ბალახის 15-17% ტენიანობამდე გაშრობით. იგი ცხოველების ერთ-ერთი ძირითადი საკვებია ზამთრის პერიოდში. ბალახი უნდა მოითიბოს მაშინ, როცა მცენარე შეიცავს საყუათო ნივთიერების მაქიმალურ ნივთიერებას. ბალახის არადროულ (ადრე და გვიან) გათიბვა იწვევს მოსავლიანობის ან მიღებული საკვების კვებითი ღირებულების შემცირებას.

სათიბების სწორად გამოყენებასა და მაქსიმალური მოსავლის მიღების მიზნით ბალახის მოთიბვის სიმაღლე ბუნებრივი ბალახისათვის უნდა იყოს 4-6 სმ და ნათესი ბალახებისათვის 6-8 სმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში უკვე იწყება თივის დამზადების პროცესი, ამიტომ ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბალახების მოთიბვის აგროვადებს. იონჯა ითიბება ყვავილობის დაწყებისას, რათა დიდი რაოდენობის მწვანე მასა და მაღალი ხარისხის თივა იქნეს მიღებული.

აკაკი დეკანოზიშვილი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

კულტურა

ანსამბლს ღირსეული წოდება მიენიჭა

ქორეოგრაფიული ანსამბლი 'იმედი" საგარეჯოს კულტურის სახლის ქორეოგრაფიული წრის ბაზაზე ჩამოყალიბდა და (ხელმძღვანელი თინათინ მეზვრიშვილი, ქორეოგრაფი ფიქრია ჩეკურიშვილი, გია კუჭუაშვილი) პირველად 2000 წლის 12 ივნისს წარსდგა მაყურებლის წინაშე. მას შემდეგ ინტერესით ადევნებს თვალყურს ანსამბლის წარმატებებს საგარეჯოელი მაყურებელი. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლი ხუთჯერ იყო მიწვეული თურქეთში ფესტივალებზე, არაერთხელ მიუღია მონაწილეობა კონკურსებსა და აქციებში, არის რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი.

ივნისის ერთ ლამაზ დღეს კი ანსამბლი საგარეჯოელი მაყურებლისა და სტუმრების წინაშე საანგარიშო კონცერტით წარსდგა საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე. ანსამბლის წევრები საგარეჯოს ოთხივე და მანავის საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან. მასში ყველა ასაკის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. ყველაზე პატარები, რიგ შემთხვევაში, სოლისტებიც – სალომე კუჭუაშვილი (საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე) და თათია ბუზიაშვილი (მანავის საჯარო სკოლის მოსწავლე). თუმცა აქ სტუდენტიც ჰყავთ – ამ ანსამბლის აღზრდილი უკვე სტუდენტი მარი კუჭუაშვილი ცეკვა „აჭარულში" სოლოს ასრულებს – ვერ თმობს მშობლიურ ანსამბლს. თავიანთი ხელოვნება, ქორეოგრაფთა მიერ გაწეული ის დიდი ღვაწლი და რუდუნებით შესწავლილი ცეკვები გვაჩვენეს ანსამბლის წევრებმა, რომლებიც მათ სავარჯიშო და საცეკვაო დარბაზში შეისწავლეს, დაეუფლნენ, თითოეული ილეთი დახვეწეს და სისხლსა და სულში გაითავისეს. იქნებ იყო კიდეც პატარების – 5-6-7 წლიანთა ჯგუფის გამოსვლისას ცოტა უზუსტობა მოძრაობაში, არასინქრონულობა, მაგრამ მაყურებელი მათი ყურებისას გრძნობდა, როგორ განიცდიდა პასუხისმგებლობას, როგორ ცდილობდა თავის პირველ საანგარიშო კონცერტზე თითოეული მათგანი თავისი ნამუშევრის წარმოჩენას – ღირსეულად და წარმატებით.

სცენაზე ანსამბლის მიერ შესრულებულ თითოეულ ცეკვას თავისებურ სილამაზეს მატებდა ცეკვისთვის შესაფერისი ეროვნული სამოსი, იყო ეს 'ქართული", 'ოსური", 'კახური", კინტოური", 'შალახო", 'მთიულური", 'რაჭული", 'აჭარული", 'ხევსურული", 'ლაზური" თუ სხვა.

სწორედ ეს აღნიშნეს საანგარიშო კონცერტის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ პროფესორმა რეზო ჭეიშვილმა და მისმა მოადგილემ პროფესორმა ოლეგ ალავიძემ. მადლობა მოუხადეს არა მარტო ანსამბლის ხელმძღვანელსა და ქორეოგრაფებს, მშობლებსაც, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს, არ დაზოგეს თანხები და ანსამბლი იმ სახით წარდგა მაყურებლის წინაშე, რა სახითაც მოეთხოვება ამისთანა პოტენციისა და შესაძლებლობების ანსამბლებს. მათ ანსამბლის ხელმძღვანელს რესპუბლიკურ ფესტივალებსა

და საქველმოქმედო აქციებში აქტიური მონაწილეობისათვის სერტიფიკატი გადასცეს და მიულოცეს სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდების მინიჭება.

საანგარიშო კონცერტის მსვლელობისას ჩატარდა საქველმოქმედო აქცია, ანსამბლის წევრებმა და მაყურებელმა გარკვეული თანხა შეუგროვეს ანსამბლის მონაწილე ბავშვთაგან განსხვავებული უნარების მქონე ბავშვთა ცენტრს საჩუქრად შეუგროვეს.

კონცერტის დასასრულს მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ანსამბლის წევრებს, მის ხელმძღვანელს, ქორეოგრაფებს. ანსამბლის წევრებისადმი მილოცვებითა და ლამაზი თაიგულებით მაყურებელი სცენაზე დიდ ხანს უზიარებდა ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

ამ დღეებში საგარეჯოს სანიმუშო საბავშვო-სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა 'იმედმა" მთიან აჭარაში, ხულოში აჭარის ფოლკლორულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა.

ალტერნატიულმა საბავშვო ბაღებმა ფუნქციონირება დაიწყეს

ეს საბავშვო ბაღები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პატარა აზერბაიჯანელი მოქალაქეებისათვის 20 ივნისს ამოქმედდა. უფრო სწორად ეს არის ორი პირველი საპილოტე მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც აქაური პატარები, მშობლიურის ნაცვლად ქართულ ენაზე დაიწყებენ სწავლა-აღზრდას. აქ დაგროვილი გამოცდილება კი შემდგომში განზოგადდება სამომავლოდ გათვალისწინებულ აზერბაიჯანულენოვან საბავშვო ბაღებში სახელმწიფო ქართული ენის სწავლების საქმეში.

ეს პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის პროგრამა „თანამშრომლობა განვითარების ფარგლებში" და ახორციელებს პოლონური ორგანიზაცია „ედუკატორი", ხოლო საქართველოს პროექტის პარტნიორია საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა".

პროექტის ამოქმედებამდე გარკვეული მოსამზადებელი სამუშაო გასწიეს ლამბალოს რწმუნებულმა მუბარიზ მამედოვმა და საინიციატივო ჯგუფის წევრებმა – მომავალში „ალტერნატიული ბაღების" – მასწავლებლებმა თეა გურგენიძემ და ფატიმა მამედოვამ, განსაკუთრებით კი თეა გურგენიძემ. მისთვის განსაკუთრებით პრობლემური სათანადო ფართის გამონახვა გახდა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი დადებითად გადაწყდა, სოფლის რწმუნებულის დახმარებით სათანადო შენობა გამოინახა, გარემონტდა და სრულ „საბრძოლო მზადყოფნაში" დახვდა 20 ივნისს აქ მოსულ პატარებს, სადაც ყველაფერი უცხო და უჩვეულო აღმოჩნდა მათთვის: ახალი სათამაშო მანქანები და თოჯინები, რეზინის გასაბერი ბურთები და ცხოველები, კალათბურთის მინიატურული ფარები და ბურთები, მინიატურული მაგიდები და საზურგეზე ციფრებამოჭრილი სკამები, თეა მასწავლებლის მიერ კედლებზე მიმაგრებული ფერად-ფერადი ყვავილების, თაფლით სავსე სათლებით მოფრენილი ფუტკრების, საჰაერო ბუშტებით ცაში აფრენილი სპილოები, ოქროსსხივება მზისა და სხვა სურათები.

ერთი სიტყვით ჩანდა, რომ ამ ჯგუფის მომავალმა მასწავლებელმა საკმაოდ იზრუნა პირველი სამუშაო დღისათვის საზეიმო ელფერის მისაცემად და ფაქტიურად, მუნიციპალიტეტში, ალტერნატიული ბაღების გახსნის საზეიმო ცერემონიალიც ამ ჯგუფში გაიმართა.

ეს საერთო საზეიმო განწყობა უფრო აამაღლა იმანაც, რომ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად და მისალოცად აქ მობრძანდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ცისმარ თედიაშვილი, გამგეობის თანამშრომლები, საგარეჯოს აიპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ელზა გილაშვილი, სოფ. ლამბალოს რწმუნებული მუბარიზ მამედოვი, იორმუღანლოს რწმუნებული ნათიკ რასულოვი, იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართველი პედაგოგები, პატარა აღსაზრდელების ნათესავები.

აი, ცისმარ თედიაშვილისა და ელზა გილაშვილის მიერ გაიჭრა წითელი ლენტი და თეა გურგენიძის სკოლამდელი აღზრდის მოსამზადებელი ჯგუფი ოფიციალურ მუშაობას შეუდგა.

აზერბაიჯანული ტრადიციების მიხედვით სტუმრების ტკბილეულითა და ჭიქა ჩაით გამასპინძლება-გაცილების შემდეგ ალტერნატიული ბაღის „დიასახლისმა" ჩვენთვისაც მოიცალა:

– ყველაფერი ის, რასაც ამ ოთახში ხედავთ და აწყვია, პროექტის დამფინანსებლის – პოლონეთის მთავრობის მიერაა შემოტანილი – განაცხადა თეამ ჩვენთან საუბარში,– დაწყებული სხვადასხვა სათამაშოებით, ავეჯით, ინვენტარით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და სხვა ლიტერატურით დამთავრებული. განსაკუთრებით აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის შვეიცარიის საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროექტის „მრავალენოვანი განათლება საქართველოში" და შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს SLDQ-ს მიერ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია OSCE/HCN უმცირესობათა დარგში უმაღლესი კომისრის მეშვეობით გამოცემული მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელო „ვისწავლოთ თამაშით – 111 თამაში მრავალენოვანი განათლებისათვის". ჩვენ ასევე მიღებული გვაქვს სახელმძღვანელოები: სამუშაო რვეული – 3 წლიდან – ორ წიგნად, სახალისო სავარჯიშოები წერასა და თვლაში, გასართობი თავსატეხები: სიტყვები, ფორმები, ფერები, ცნებები, პოპულარული საბავშვო სიმღერები, საბავშვო ლექსები და მოთხრობები, ცხოველების ენციკლოპედია, ჩემი პირველი ლექსიკონი, რომლებიც თანამედროვე პოლიგრაფიის უმაღლეს დონეზეა გამოცემული.

რაც შეეხება პროექტის ხანგრძლივობას, იგი ექვსთვიანია და როგორც აღვნიშნე, მთლიანად პოლონური მხარის მიერ ფინანსდება, გარდა ფართის ქირისა, რასაც მუნიციპალიტეტის გამგეობა გვიფინანსებს ექვსი თვის შემდეგ, როგორც გვპირდებიან, მთლიანად რაიონული გამგეობის დაფინანსებაზე გადავალთ. სადღეისოდ ჯგუფში 17 პატარას ვითვლით და ალტერნატიული ბაღების წესდებითაც ასეა განსაზღვრული: 16-დან 20 ბავშვის ჩათვლით, თუმცა თუ გავითვალისწინებთ აქაური მოსახლეობის დაინტერესებას, ეს ციფრი შეიძლება კიდევ რამდენიმე ბავშვით გაიზარდოს.

– როგორია „ალტერნატიული ბაღის" მუშაობის რეჟიმი?

– ბაღი მუშაობას დილის 9 საათიდან იწყებს, რაც 1 საათამდე გრძელდება, რის დროსაც ხდება მხოლოდ ბავშვების მეცადინეობა და გართობა, რაც შეეხება კვებას და ძილს, ეს გათვალისწინებული არაა. ამას ისინი უჩვენოდ, სახლებშიაც შეძლებენ. ჩემი, როგორც მასწავლებლის (სხვა შტატი აქ ფაქტიურად არცაა) ვალია დავეხმაროთ ჩვენს პატარა აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს სახელმწიფო ენის შესწავლაში, ხოლო თუ როგორ შევძლებ ამას, ამას მომავალი დაგვანახებს.

ჩემის მხრით კი ჩემი რესპოდენტის საუბარს იმას დავამატებდი, რომ თეას აქვს აზერბაიჯანულენოვან – იორმუღანლოს საჯარო სკოლაში ქართულის მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი მუშაობის პრაქტიკა, პრაქტიკულად დაუფლებულია აზერბაიჯანულ ენაზე საუბარს, ასევე გავლილი აქვს აქ მუშაობის სათანადო ტრენინგები, რაც დიდად შეუწყობს ხელს მასზედ დაკისრებული ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში.

გზა დავულოცოთ „ალტერნატიული ბაღების" პირველ მერცხლებსა და დამკვალიანებლებს.

ბ. დაბახიშვილი

მიეცი ნიჭსა გზა ფართო

ოლიმპიადაში გამარჯვებული

ელს პატარძეულის ქართულ-ფრანგულ სკოლა- ლიცეუმში გადმოვედი სასწავლებლად თბილისის 161-ე სკოლიდან. წელსვე პირველად დავიწყე ქიმიის სწავლა.საგანი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი, სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება. ეს საწყის ეტაპზე ჩემთვის ჯადოქრობასაც კი გავდა.

მასალის შესწავლასთან ერთად ჩემი ინტერესი თანდათან იზრდებოდა. ასე ჩავერთე იმ კვლევითი მუშაობის ჯაჭვში, რომელსაც სკოლა აწარმოებდა (სკოლის დირექტორის ცისიერ დიღმელაშვილის ხელმძღვანელობით) და გავხდი ახალგაზრდა მკვლევარ-გამომგონებელი.

ჩემი კვლევის ობიექტს სარეველა მცენარე ავშანი წარმოადგენდა. XII კლასის მოსწავლეების არსენ გორგაძესა და გვანცა მუჩიაშვილის მიერ შესწავლილი იყო ავშნის (აბზინდა, უჯანგარი) ანტიპარაზიტული და ანტიბაქტერიული თვისებები. მათ ავშნის ექსტრაქტიდან მოამზადეს ანტიპარაზიტული (ტილების საწინააღმდეგო) ლოსიონი და შამპუნი, აგრეთვე ანტიბაქტერიული თხევადი საპონი. გამოგონება წარდგენილი იყო ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსზე „ლეონარდო და ვინჩი". მოხვდა, 14 ინოვაციურ პროექტში და გამოიფინა საგამოფენო დარბაზ ექსპო-ჯორჯიაში. მონაწილენი დაჯილდოვდნენ ნეტბუქებით.

დავინტერესდი რა ავშნის ანტიბაქტერიული თვისებებით კვლევა გავაგრძელე მისი მედიცინაში გამოყენების მიზნით, კერძოდ, გრიპის საწინააღმდეგოდ. მოვამზადე გრიპის საწინააღმდეგო სველი ცხვირსახოცები და პირბადეები მოზრდილთათვის. მშრალი ცხვირსახოცები და პირბადეები ბავშვებისათვის. გამოგონება წარვადგინე ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ოლიმპიადის I ტური IX რესპუბლიკური ოლიმპიადა გაიმართა 30 მარტს თბილისში. I ადგილზე გასული კონკურსანტი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ოლიმპიადაში. მე I ადგილი დავიმსახურე.

25 აპრილს სასტუმრო მეტეხი-პალასში საზეიმოდ გაიხსნა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადა. მასში მსოფლიოს 27 ქვეყნის 272 მოსწავლე, 125 გამოგონებით მონაწილეობდა. ეს იყო ნიჭიერებისა და მეგობრობის დაუვიწყარი ზეიმი დატვირთული მრავალფეროვანი ღონისძიებებით. ოლიმპიადის ორგანიზებაში ჩაღლარს მხარს უჭერდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში „საპატენტი", შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

27 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინსტროში გაიმართა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოება. დაჯილდოება III საპრიზო ადგილიდან დაიწყო. ბრინჯაოს მედლები კონკურსანტებს ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა გადასცა. III ადგილზე გასულებს შორის ჩემი გვარი არ აღმოჩნდა. დასახელდნენ II ადგილზე გასულები, მათ შორის მეც. ვერცხლის მედლები თურქეთის ელჩმა საქართველოში ლევენი მურათ ბურჰანმა და ჩაღლარის დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო საბჭოების თავმჯდომარემ ადემ ონალიმ გადმოგვცეს.

ჩვენი სკოლა ამ კონკურსში 2010 წლიდან მონაწილეობს. იმავე წელს სკოლა ლიცეუმის მოსწავლეებმა რესპუბლიკურ ტურში 2 მეორე ადგილი მოიპოვეს.

აკაკი ცხვარიაშვილი,
პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის VII კლასის მოსწავლე

მამა-პაპათა ნაკვალევზე

საქართველო და ავღანეთი

ისტორიული ცნობა

ამ სტრიქონების წამკითხავს შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს – რა გვინდოდა ავღანეთში, მაგრამ მე, ამ სტრიქონების ავტორმა, როგორც განათლებით აღმოსავლეთმცოდნე, სწავლულმა ისტორიკოსმა მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები ამ გამოუცნობი საკითხის შესწავლას მოვანდომე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქართველებისა და ავღანელი ხალხების, ამ ორი ერთ ბედქვეშ მყოფი და ხმალჩაუგებელი ერისა და ქვეყნის ბრალი კი არაა რაც ამ ორ ქვეყანას შორის ხდება, არამედ მსოფლიო ისტორიის გამოუცნობ პრობლემებშია საძებნელი.

საქართველოც და ავღანეთიც არსთაგმრიგე უფალმა მსოფლიოს ისეთ სტრატეგიულ-გეოგრაფიულ ადგილზე დაასახლა, რომელიც ყოველ დროში და ყოველ ეპოქაში, დიდმპყრობელი, იმპერიული სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესთა შეჯახების ცენტრს წარმოადგენდა ხოლმე.

ისტორიულმა აუცილებლობამ და არსთაგამგე უფალმა საქართველოს მხოლოდ XI-XII საუკუნეებში მისცა შანსი სრული დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო კავკასიაში და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. ეს იყო დავით აღმაშენებლისა და მზე თამარის ეპოქა, როცა ქართულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მაქსიმალურ სრულყოფას მიაღწია, როცა საქართველოში დაიწერა გენიალური შოთა რუსთაველის სასწაულმოქმედი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ – ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სრულყოფილი ჰიმნი. ამიტომ იყო, რომ მთელი მაშინდელი მუსულმანური სამყარო უძლური იყო საქართველოც და ავღანეთიც გამოეყენებინა მშვიდობისმოყვარე ხალხების სასაკლაოდ. დიდგორისა და ბასიანის ომები იყო არა ხალხთა ჟლეტის ომები, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის დამყარების ეპოქა, მაგრამ შემდგომმა მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა საქართველოცა და ავღანეთიც სისხლისმღვრელი ომებისა და საპირისპირო იდეოლოგიური დაპირისპირების პოლიგონად აქცია.

საქართველოც და ავღანეთიც აზიის ცენტრში წარმოშობილი ირანის (სპარსეთის) აგრესიული, იმპერიული სახელმწიფოს უღელქვეშ მოექცა და ირანის შაჰებიც, როგორც საქართველოს, ისე ავღანეთს თავისი ბატონობის ინტერესების განმტკიცების ობიექტებად იყენებდა და თავის სისხლისმღვრელ ომებში „საზარბაზნე ხორცად“ იყენებდა.

XVII-XVIII საუკუნეთა გზაგასაყარზე, როცა „ძლევამოსილი“ ყიზილბაშური ირანი უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში მოექცა და ირანის მონობაში მყოფმა ავღანელებმა თავისი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადის მირვეისის ხელმძღვანელობით იარაღს მოჰკიდა ხელი ირანის ბატონობის უღლის გადასაგდებად, მაშინდელი ირანის შაჰს სულთან ჰუსეინს, იგრძნო რა ტახტის დაკარგვის საშიშროება, მაშინ გაახსენდა, ასევე თავისუფლებისათვის მებრძოლი, ირანის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი მეფე გიორგი XI და ირანში იხმო აჯანყებული ავღანელების დასაშშმანებლად.

მალე ირანში გამოცხადდა გიორგი XI 2 ათასი ქართველი ცხენოსანის თანხლებით.

ყიზილბაშური ირანის იმპერია სულს ღაფავდა. კორუმპირებული მოხელეები და ირანის შეიარაღებული ძალები უძლურნი იყვნენ აჯანყებული ავღანელებისგან თავი დაეცვათ, ამიტომ ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა უდიდესი რწმუნებულებები ჩააბარა ქართლის მეფეს მირვეისის წინააღმდეგ გაგზავნა, თვითონ კი თავისი ჰარამხანის ლამაზმანების ალერსით გაბრუებულმა ვერც კი წარმოიდგინა, რა საშიშროება ელოდა ავღანელი აჯანყებულებისგან, რომლებიც თავისი ურიცხვი ჯარებით თანდათან უახლოვდებოდნენ ირანის დედაქალაქ ისპაჰანს.

მართალია გიორგი XI მთელი ირანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა, მაგრამ ირანის მაშინდელი ჯარი ისე იყო კორუმპირებული და ბრძოლისუნარდაკარგული, რომ გიორგი XI თავისი 2 ათასი ქართველი მეომრის იმედით წავიდა აჯანყებული მირვეისის ლაშქრის წინააღმდეგ. მირვეისმა კარგად იცოდა, რომ ის ვერაფერს გააწყობდა ქართველების წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლით, ამიტომ ვერაგ ხერხს მიმართა, მან ქართლის მეფეს მოციქულები მიუგზავნა და ზავს შეჰპირდა – ქართლის ახალგაზრდა მეფეს თავის ულამაზეს ქალიშვილს დაჰპირდა ცოლად და სთხოვა მშვიდობიანად მორიგებულიყვნენ. გიორგი XI გულუბრყვილოდ მიენდო მის მხედრულ სიტყვას, კარავში თავისი მცველების გარეშე შეჰყვა მოსალაპარაკებლად, სადაც ზურგიდან ხანჯლის ჩაცემით მოკლეს გიორგი მეფე, ხოლო მის მცირერიცხოვან ჯარს ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს და უთანასწორო ბრძოლაში მთლიანად ამოწყვიტეს.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო ქართველებისათვის, რომ ავღანეთი მათთვის სისხლიან საკლაოდ გადაქცეულიყო.

1738 წელს ირანის მბრძანებელმა ნადირ შაჰმა ავღანეთისა და ინდოეთის ლაშქრობაში თან გაიყოლა 18 წლის უფლისწული ერეკლე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის მომავალი მეფე ერეკლე II. „პატარა კახს“ თან გაჰყვა ასეულობით ქართველი ჯარისკაცი, მათ შორის პატარძეულელი, საგარეჯოელი და გიორგიწმინდელი ვაჟკაცები, რომელთაც ავღანეთში ხაიბერის უღელტეხილის გავლის დროს პატარა კახთან ერთად დიდი გმირობა გამოიჩინეს ავღანელ მეამბოხე პუშტუნების წინააღმდეგ, რაზედაც ნადირ შაჰის მადლობა და შექება დაიმსახურეს. ქართველი მეომრები ერეკლე ბატონიშვილთან ერთად ნადირ შაჰის ლაშქარს ინდოეთში, დიდ მოგოლთა დედაქალაქ შაჰჯანაბადშიც (ახლანდელი დელი) შეჰყვნენ და იქაც ნადირ შაჰის დიდი მადლობა დაიმსახურეს.

ქართველებისათვის ავღანეთიცა და ინდოეთიც მათ ხსოვნაში დარჩა, როგორც საზამთელი და მოუსავლეთი, ბევრმა არც კი იცის, რომ ქართული პოპულარული და სევდისმომგვრელი სიმღერა „გაფრინდი შავო მერცხალო“ ავღანეთში და ინდოეთში მიმავალი მეომრების თემაზეა შექმნილი, როცა ქართველი დედები და მეუღლეები თბილ ქვეყნებში მიმფრინავ მერცხლებს აბარებდნენ:

„ამბავი ჩამომიტანე ომში წასული ძმისაო“.

მაშინ მთელ შუა საუკუნეებში ავღანეთი და ინდოეთი იყო ქართველი მეომრების საბრძოლო-საასპარეზო და ხშირად სასაკლაოც. მაშინდელი ირანი ხომ ძირითადად ქართველ მეომრებს იყენებდა სამხედრო ძალად ავღანელების, ბელუჯების, და ინდოელების დასამონებლად, სიტყვა „ჯანდაბაც“ იქიდან წარმოსდგება. ინდოეთის მაშინდელ დედაქალაქს (ახლანდელი დელი), მაშინ „შაჰჯანაბადი“ ერქვა, ამიტომ ხატოვანი გამოთქმა „ჯანდაბაში და ჯანდაბას“, ნიშნავდა-შორს, სასიკვდილოდ განწირულს, მოუსავლეთში წასვლას.

ავღანეთი ყველა ქართველისათვის ცუდი ასოციაციის გამომწვევია, ამიტომ ხატოვანი გამოთქმაც კი დამკვიდრდა ქართულ ფოლკლორში:

„ავღანეთში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა“, ახლაც ხშირად მოისმის ეს სიტყვები. თუნდაც ავიღოთ გასული საუკუნის 70-იანი 6 წლიანი ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ, რამდენმა ქართველმა პატრიოტმა ჰპოვა სიკვდილი ავღანეთის ხვლიკისფერ ტრამალებში, რომელთა სისხლითაა გაჯერებული ავღანეთი. რაც შეეხება დღევანდელ ავღანეთს, იქ არსებულ „ნატოს“ კავშირში შემავალ ათეული ქვეყნის სამხედრო კონტიგენტებში ქართველი მეომრების ხვედრითი წვლილი საკმაოდ დიდია. 1700-ზე მეტი ქართველი სამხედრო მოსამსახურე იხდის ავღანეთში, რომელთაც საკმაოდ გაიღეს მსხვერპლი.

მიმდინარე წლის 13 მაისს ავღანეთში გაგზავნილი ქართველი მეომრებისათვის ჰელმანდის პროვინციაში ბაზა „შირგაზზე“ თვითმკვლელის თავდასხმის შედეგად დაიღუპა 3 ქართველი მებრძოლი, ხოლო 27 კი მძიმედ დაიჭრა. ამ ტრაგედიიდან გლოვის თავზარი ჯერ არ განელებულიყო, როდესაც ქართველი საზოგადოებრიობა შეძრა ახალმა თავზარდამცემმა ცნობამ – 6 ივნისს ავღანელმა თვითმკვლელმა დიდი სიმძლავრის ასაფეთქებელი ნივთიერებით ახალი ტერაქტი მოახდინა ქართველი სამხერდროების მოწინავე ბაზაზე, რის შედეგადაც 7 ქართველი სამხედრო დაიღუპა, ხოლო 9 დაიჭრა. ამან შეძრა ქართველი საზოგადოებრიობა, ხოლო ავღანეთში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა რაოდენობამ 29-ს მიაღწია. ამან ქართველი საზოგადოებრიობა სამართლიანად შეაშფოთა. იმ დროს, როცა საქართველოში მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა, ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, საზღვარგარეთ, ავღანეთის მიწაზე სისხლს ღვრიდნენ ქართველი მეომრები, თვითონ საქართველოში, ქართულ მიწაზე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენს დაუკითხავად, რუსი ოკუპანტები საოკუპაციო საზღვრებს მავთულხლართებს აკრავენ ქართველი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებს, საარსებო მიწა-წყალს და თვით მამაპაპეულ სასაფლაოებსაც კი არომევენ, ჩვენი შვილები სისხლს უცხო მიწაზე, სიკვდილის მოესველ ავღანეთში არ უნდა ღვრიდნენ. 13 მაისის და 6 ივნისის ტრაგედია აღარ უნდა განმეორდეს, – ჩვენ დასაღუპი შვილები არა გვყავს. ჩვენ „ნატოს“ წევრი ქვეყანა არა ვართ. თუ ნატოს წევრ ესტონეთს 100 ჯარისკაცი ჰყავს ავღანეთში გაგზავნილი, ხოლო უზარმაზარ ავსტრალიას 1500 სამხედრო ჰყავს იქ, პატარა საქართველოს, რომელსაც თავის სამშობლო საქართველოში ათასი მოუგვარებელი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, რატომ უნდა ჰყავდეს 1700-ზე მეტი ჯარისკაცი, მით უმეტეს, როცა საქართველო არ არის ნატოს წევრი. დროა შემოვკრათ საგანგაშო ზარებს და ქართველმა დედებმა ატეხონ განგაში – ავაშოროთ ჩვენს შვილებს ავღანეთში სიკვდილი.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, დამსახურებული, ვეტერანი ჟურნალისტი.

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის“

ჩვენებურები საქართველოს მთლიანობისათვის

მაისის ბოლოს საგარეჯოს კულტურის სახლში საქართველოს ქალთა საბჭოს ინიციატივითა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალთა საბჭოს (ხელმძღვანელი თამარ საგინაშვილი) უშუალო ხელშეწყობით ჩატარდა ღონისძიება, რომლის დევიზი იყო „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის“. ღონისძიების მონაწილეებს, ორგანიზატორებს და ყველა სტუმარს მკერდზე დაბნეული ჰქონდათ თექისა და ქაღალდისგან დამზადებული იები, რომლებიც სპეციალურად ამ დღისათვის დაამზადა ქალთა საბჭომ.

საღამო ეძღვნებოდა აფხაზეთის, სამაჩაბლოს და 2008 წლის აგვიტოს ომებში საგარეჯოს რაიონიდან დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას. შინმოუსვლელებად, „ღიმილის ბიჭებად“ დარჩენილნი თხუთმეტნი არიან: სოსო ჩოკოშვილი, ბაქარ სულხანიშვილი, ვახტანგ თედიაშვილი, დათო ჩობალაური, კახა გიქორაშვილი, რამაზ ჭიკარტაძე, რეზო მამისაშვილი, მამუკა ხატიაშვილი, გიორგი კირაკოზაშვილი, ზურაბ ფეიქრიშვილი, მიხეილ (ძელო) ჭინჭარაული, გელა შაქარაშვილი, ვაჟა ქიტიაშვილი, დათო კვეზერელი, ბადრი მჭედლიშვილი.

საღამო გახსნა ქალთა საბჭოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ ლეილა არჩემაშვილმა. მან საოცარი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა ჩვენი ბიჭების გმირობის მნიშვნელობაზე ქვეყნისათვის, იმ დიდ ტკივილზე, რაც მათი დაკარგვით განიცადა თითოეულმა საგარეჯოელმა. აი მოკლე ამონარიდი ამ საოცრად შთამბეჭდავი სიტყვიდან:

„... ცხოვრება გრძელდება, მაგრამ, ვაი, რომ უთქვენოდ!

თქვენ რკინის გულები გდებიათ მკერდში „ლეშის ბუშტების“ მაგიერ!

უკვდავების ბინადარნო, ღირსეული კაცები ყოფილხართ, რადგან კაცის ღირსება მის არჩევანშია!

თქვენს არჩევანს კი „სამშობლო“, „სიყვარული“ და „ერთგულება“ ჰქვია. ყველაზე ძვირფასი, რაც ღმერთმა გიბოძათ, ეს სიცოცხლეა და სწორედ იგი მიუძღვენით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას“ ქ-ნ ლეილას გამოსვლას აშკარად გასდევდა ის დიდი ტკივილი, რომელიც მას დაუგროვდა 15 საგარეჯოელი გმირის ისტორიების მოძიებისას, იგი ხომ თითოეულის ოჯახში იყო პირადად და მათი ოჯახების ტრაგედიის თანაზიარი გახდა.

გამოსვლის მიწურულს ქ-ნმა ლეილამ დარბაზს სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ 13 მაისს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას დაღუპული სამი ქართველის – კაპრალ ალექსანდრე კვიწინაძის, უფროსი სერჟანტის ზვიად დავითაძის და კაპრალ ვლადიმერ შანავას ხსოვნისათვის.

სამშობლოსათვის დაღუპული გმირების ისტორიებს მსმენელებს აცნობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტსახლის მენეჯერი თინათინ მეზვრიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი თამარ ჯაბადარი, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობები: პაატა ქვლივიძე, მიშა ხოკერაშვილი, ნათელა დიღმელაშვილი, მარინა შიოშვილი, ფატი დვინიაშვილი, ასევე პედაგოგები: ელზა ზაკალაშვილი (საგარეჯოს II საჯარო სკოლა) და ეკა ქაიხოსროშვილი (ბადიაურის საჯარო სკოლა).

საღამოზე წაიკითხეს ტერიტორიული მთლიანობვისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსებიც. პოეტ რომან ზუკაკიშვილის ლექსი შთამბეჭდავად წაიკითხა მისმა ვაჟმა დემეტრემ.

მსახიობმა ნათელა დიღმელაშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა ბეჭდაუდებელი ფალავნის ლევან თედიაშვილის ვაჟის ვახტანგის ხსოვნას.

პატრიოტულ თემაზე დაწერილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პედაგოგმა ციცინო ქასულიძემ. 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული გიორგი კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა „თამარ გარეჯელის“სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დარეჯან კერატიშვილმა.

მიხეილ (ძელო) ჭინჭარაული გაიხსენა მისმა თანაკლასელმა, გომბორის საჯარო სკოლის პედაგოგმა მარეხ დიდებაშვილმა. საოცრად ამაღელვებელი და ტკივილიანი იყო თანატოლის მიერ განცდილი ტრაგედია.

ბაქარ სულხანიშვილის შესახებ ისაუბრა ამავე სკოლის ინგლისურის მასწავლებელმა ლელა ზვიადაურმა.

მეზობელი და მის ხელში აღზრდილი, აფხაზეთის ომში ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა რამაზ ჭიკარტაძე სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა ქალბატონმა მზია დარბაისელმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი). ბიჭებმა თავისი ღრმა პატივისცემა და სიყვარული გმირებისადმი სულშიჩამწვდომი ჰანგებით გამოხატეს.

წყაროსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და-ძმა სოფო და ვახტანგ ბეჟიტაშვილებმა და მათმა დედამ – თამარ პატარაშვილმა ფანდურზე შეასრულეს თეონა ქუმსიაშვილის სიმღერა „ღმერთი დიდია“!

დარბაზს ჟურანტელად გადაუარა მსახიობ პაატა ქვლივიძის მიერ წაკითხულმა ლექსმა „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“.

ემოციურად შთამბეჭდავი იყო ქ-ნ თინათინ მეზვრიშვილის სიტყვა: „თუ დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის“, იქნებ მამის ჩაწვეთებულ ცრემლზეც ამოდის რაიმე ყვავილი?!“ ეს ხომ ასეა – , დედის ცრემლი უფრო ჩანს, შვილმკვდარი მამის გულში ჩაღვრეული ჩუმი ნაღველი კი დაფარულია. მართლაც, დარბაზში დედებთან ერთად იმყოფებოდნენ ჩვენი ბიჭების მამებიც, არ იყვნენ ისინი, ვინც ვერ გაუძლეს ამ ტკივილს და საფლავში ჩაიღეს შვილის დაკარგვის მოურჩენელი იარა.

ღონისძიებაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ მოწვეული ამ საღამოს ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს ქალთა საბჭოს მდივანი ქეთევან გაბრუაშვილი და საბჭოს სხვა წევრები:

რუსუდან ჩიტაური – ფოლკლორისტი;

ლია სტურუა – პოეტი;

როზა კუხალაშვილი – აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ შოშიაშვილი;

გულიკო კვიჟინაძე;

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქალთა საბჭოს თავ-რე ნინო კორკოტაშვილი და საბჭოს წევრი, რეჟისორი დიტო ბარიხაშვილი.

ღონისძიების დასასრულს სიტყვით გამოვიდა ქ-ნი ქეთევან გაბრუაშვილი. მან აღნიშნა, რომ ქალთა საბჭო ანალოგიურ ღონისძიებებს გაამართავს საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც და ბოლოს ჩვენი გმირების საქმეები ერთ წიგნად გამოიცემა.

ომში დაღუპულ გმირებზე და საერთოდ ომისგან მოტანილ საშინელებებზე ისაუბრა ქალთა საბჭოს წარმომადგენელმა თამარ შოშიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიება იყო საქველმოქმედო. საქართველოს ქალთა საბჭომ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალთა საბჭომ, თავად საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა, მის დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის რწმუნებულებმა, ბევრმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, ამ საქველმოქმედო ღონისძიებაში თავისი გარკვეული წვლილი შეეტანათ და შეგროვდა თანხა 2600 ლარის ოდენობით, რომელიც ღონისძიების ბოლოსს გადანაწილდა და დაურიგდა 15 გმირი ბიჭის ოჯახებს თანადგომის წერილებთან ერთად.

საღამოს დასასრულს ქ-ნმა ლეილა არჩემაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა საქველმოქმედო ღონისძიების მომზადებაში დახმარებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ ილია ჭიაურელს, კულტურის განყოფილების გამგეს ბესო ღვინაშვილს, მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მთავარ სპეციალისტს ნაზი არჩუაძეს, ანსამბლ „გარეჯსა“ და მის ხელმძღვანელს მალხაზ ივანელაშვილს, საქველმოქმედო თანხების მოზიდვაში აქტიური მონაწილეობისათვის კოჭბანის თემის რწმუნებულს მალხაზ წიკლაურს. მადალ დონეზე ტექნიკური გაფორმებისათვის ვანო თოლომაშვილს და ნანა ბეჟიტაშვილს. გიორგი კირაკოზაშვილზე შესანიშნავი კლიპის მოწოდებისათვის ჟურნალისტ ნინო გაბრუაშვილს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს თამარ საგინაშვილს...

...შეუძლებელია შვილმკვდარი დედის ტკივილი რამემ დააყუჩოს , მაგრამ იმ საღამოს თუ თვალს გადაავლებდით დარბაზში მსხდომ გმირი ბიჭების დედებს, მათ თვალებში დიდ სევდასთან ერთად სიამაყეს და მადლიერების გრძნობას ამოიკითხავდით, მთავრია სწამდეთ, რომ მათი შვილების ხსოვნას „ქვეყანა სანთლებად აინთებს“. ჩვენ კი ვისურვოთ და უფალს შევთხოვოთ, რომ აღარასოდეს ყოფილიყოს ომი, აღარასოდეს გვენახოს შვილის სიკვდილით ატირებული დედები.

დარეჯან კერატიშვილი

მათ გრანტი მოიპოვეს

ახალგაზრდები

საგარეჯოს მოსახლეობა 2011 წლიდან იცნობს არასამთავრობო ორგანიზაციას „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი XXI". სულ ცოტა ხნის წინ გაჟღერდა სასიხარულო ინფორმაცია, ორგანიზაციის პროექტმა გაიმარჯვა გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გამოცხადებულ მცირე გრანტების კონკურსში, რომელიც გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" ფარგლებში გამოცხადდა.

პროექტზე მუშაობისას გამოიკვეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემები,როგორიცაა სანდო ინფორმაციის წყაროს არ არსებობა, ცნობიერების დაბალი დონე და ა.შ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ორგანიზაციის მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გენდერის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. დებატების, დისკუსიის კულტურისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მარიამ ღვთისავრიშვილი და ანი მოსიაშვილი

25 ივნისს,საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პროექტის პრეზენტაცია შედგა. შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრაზე გაჟღერდა ის კონკრეტული ღონისძიებები,სამომავლო გეგმები,რომლის განხორციელებასაც მომავალი 3 თვის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია (მაგ: ტრენინგების სერია, დისკუსია, დებატები, საინფორმაციო შეხვედრები...). ორგანიზაციის წევრები მარიამ ხვთისავრიშვილი, ანი მოსიაშვილი, ნუცა ბასილაშვილი იმედოვნებენ, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გენდერი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმობა და შემდგომში გაიზრდება საკითხისადმი რეაგირება. ამასთანავე, პროექტის უდიდესი პლიუსია ისიც, რომ მოხდება დებატების, დისკუსიის კულტურის და კრიტიკული აზროვნებისთვის საჭირო უნარჩვევების სტიმულირება – ჩამოყალიბება.

ნუცა ბასილაშვილი,
საგარეჯოს IV საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე

„პატარა სახლის" დიდი ამოცანები

იორმუღანლოს ქართული ენის სახლი ერთი წლისაა

Oორმურანლოს ქართული ენის სახლი ყველაზე პატარაა ჩვენი ქვეყნის ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, როგორც ასაკით, ისე მოცულობით. თუმცა ეს ხელს როდი უშლის განახორციელოს ის დიდი ამოცანები, რაც ამ დაწესებულებებს აკისრიათ ეთნიკური უმცირესობისათვის ქართული სახელმწიფო ენის შესწავლისა და მათი ქართულ საზოგადოებაში ადაპტაციის საქმეში.

ამ სახლმა, რომელიც ბოლო და რიგით მეცხრეა საქართველოში, ფუნქციონირება გასული წლის 9 მაისს დაიწყო და ახლა, როცა გავიდა ერთი წელი, მისმა თანამშრომლებმა სახელმწიფო პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა" და პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებებისათვის" მასწავლებლებთან ერთად 10 მაისს საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს. ზეიმს ესწრებოდნენ ამ სახლის მსმენელები – აზერბაიჯანულენოვანი სკოლების პედაგოგები, სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები, იორმუღანლოს, დუზაგრამის, მუღანლოს საჯარო სკოლების დირექტორები, იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ენის სახლის ადმინისტრატორ ეთერ პატარკაციშვილთან, მასწავლებლებთან დალი ოსეფაშვილთან და ქეთევან ჯანელიძესთან ერთად, მოწვეულ სტუმრებს აქ დახვდნენ ზემოაღნიშნული პროექტების მონაწილე პედაგოგები ლელა ჭინჭარაძე, ხათუნა ჭეშურაშვილი, რუსუდან დუჩიძე, შორენა ბითაძე, ზეინაბ ნამგალაური და სხვა. ქართული ენის სახლის საიუბილეო თარიღის მისალოცად აქ იყვნენ სახელმწიფო პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა" კოორდინატორი მაიკო ჭილაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სფეროს განათლების მთავარი სპეციალისტი არჩილ ჯაბადარი, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი მარინე მჭედლიშვილი.

საზეიმო ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და მოწვეულ სტუმრებს ქართული ენის სახლის მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ესაუბრა ამ სახლის ადმინისტრატორი ეთერ პატარკაციშვილი. როგორც მან აღნიშნა, ეს სახლი აღჭურვილია იმ თანამედროვე საშუალებებით, რაც საჭიროა აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. აქ 6 თვის მანძილზე ქართული ენის შესწავლის კურსი გაიარა 60-მა მსმენელმა: აზერბაიჯანულენოვანი სკოლების პედაგოგმა, მოსწავლემ და მოსახლემ. მათგან საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში ჩატარებული სწავლების I დონის სასერტიფიკაციო გამოცდების ზღვარი გადალახა 45-მა მსმენელმა, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. გარდა თეორიული სწავლებისა ენის სახლის პედაგოგებმა მსმენელთა მონაწილეობით მოაწყვეს საახალწლო, 3 და 8 მარტის საზეიმო ღონისძიებები.

ჩვენს აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებთან ერთად აღნიშნეს 9 და 14 აპრილის თარიღები. იორმუღანლოელ მოსწავლეებს მოუწყვეს ექსკურსიები თბილისში, ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, იყვნენ პატარძეულში გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმში და დაუმეგობრდნენ ამ სოფლის სკოლის მოსწავლეებს, მუღანლოს სკოლის ბაზაზე მოაწყვეს მოსწავლეთა შეჯიბრი მხიარულ სტარტებში, მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოში გამართულ ნორჩ კალიგრაფისტთა კონკურსში, სადაც გამარჯვებული გამოვიდა იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლე ხეირათან კახრამანოვი.

ენის სახლის ადმინისტრატორი მისმა თანამშრომლებმა ქეთევან ჯანელიძემ და დალი ოსეფაშვილმა შეცვალეს, რომელთაც ისაუბრეს იმ წარმატებებზე, რასაც მათ მიაღწიეს ამ ერთი წლის მანძილზე ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისათვის ქართული ენის სწავლაში. როგორც დალი ოსეფაშვილმა თავის გამოსვლაში გაამჟღავნა, იგეგმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება აზერბაიჯანულენოვანი ჯარისკაცებისათვის ქართული ენის შესწავლის თაობაზე.

ენის სახლის პედაგოგებს მათი მსმენელები შეენაცვლნენ, როგორც აქ მოსულმა 32 წლის აზად სარიევმა აღნიშნა, იგი ერთი წელია ამ სკოლის მსმენელია და კაცმა, რომელმაც ორი ღერი ქართულიც არ იცოდა, იმდენად დაეუფლა ქართულს, რომ დამოუკიდებლად, თარჯიმანის გარეშე შეუძლია ქართველებთან კომუნიკაცია. ამისათვის მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იორმუღანლოს ქართული ენის სახლის მასწავლებლებს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსულმა იორმუღანლოს საჯარო სკოლის პედაგოგმა, კახეთის ზონის ბილინგვური სწავლების სერტიფიცირებულმა ტრენერმა და ამ სახლის მსმენელმა კაზახ აბდულაევმა, რომელიც სკოლაში ქიმიასა და ფიზიკას ასწავლის, ისაუბრა იმ მნიშვნელობაზე, რაც აღნიშნულ სახლს გააჩნია აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეში, ყურადღება გაამახვილა ბილინგვური სწავლების საკითხებზე. მან დიდი მადლობა გადაუხადა ამ სახლის მასწავლებლებს ქეთი ჯანელიძეს, დალი ოსეფაშვილს, ეთერ პატარკაციშვილს, რუსუდან დუჩიძეს, ხათუნა ჭეშურაშვილს, საქართველოს მთავრობას იმ ამაგისათვის, რასაც ისინი ამ საქმეში ეწევიან.

– თუ აღნიშნული სახლი მომავალშიც ასე გააგრძელებს მუშაობას, ათიოდე წლის შემდეგ მისი ფუნქციონირება საჭირო აღარ იქნებაო, ასე დაასრულა მან თავისი გამოსვლა.

ყველა ეს ზემონათქვამი კი გადაფარა დუზაგრამის სკოლის მასწავლებელ ლელა ჭინჭარაძის მიერ ამავე სკოლის XII კლასელის ფიქრად გაჯიევის განცხადების გაცხადებამ – „მასწავლებელო, თქვენი პროგრამა აცხადებს, – ქართული როგორც მეორე ენაო, ჩემთვის კი ქართული პირველი ენაა".

ქართული ენის სახლის მნიშვნელობაზე, მის დამსახურებაზე ასევე ისაუბრა და საიუბილეო ერთი წელი მის თანამშრომლებს მიულოცა და ქვეყნის მთავრობასთან ერთად დიდი მადლობა მოუხადა იორმუღანლოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა დურნა მარდანოვამ.

იორმუღანლოს ქართული ენის სახლის მუშაობის შესახებ ღონისძიებაზე ასევე ისაუბრეს, დადებითად შეაფასეს და მის თანამშრომლებს ეს თარიღი მიულოცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების მთავარმა სპეციალისტმა არჩილ ჯაბადარმა, სახელმწიფო პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა" კოორდინატორმა მაიკო ჭილაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა მარინე მჭედლიშვილმა.

ღონისძიებაზე ენის სახლის მსმენელმა იორმუღანლოს საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასების მოსწავლეებმა ქართულ ენაზე წაიკითხეს ლექსები, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე შეასრულეს სიმღერები, წაიკითხეს ამ სკოლის მოსწავლე ინთიკამ გუსეინოვის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ლექსი „ჩემი სამშობლო".

გ. დაბახიშვილი

სამუსიკო სკოლა

საანგარიშო კონცერტი

15 ივნისს საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლამ არც ახლა უდალატა ტრადიციას და მოწვეული სტუმრების წინაშე კარგად მომზადებული საანგარიშო კონცერტით წარსდგა, ამჟამად კონცერტი ამავე სკოლის დამაარსებელს და ფუძემდებელს, უნიჭიერესსა და შესანიშნავ ადამიანს, რაიონის კულტურის განვითარებაში უდიდესი წვლილის შემტანის ჯემალ ბურჯანაძის ხსოვნას მიეძღვნა – მას წელს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა.

კონცერტი სკოლის დირექტორმა ლია ბურჯანაძემ და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ თეა ხატიაშვილმა ბიზეს ოპერიდან „კარმენი“ ანტრაქტის შესრულებით გახსნეს.

სცენაზე ავიდნენ უმცროსკლასელთა გუნდის მოსწავლეები (პედაგოგი ნელი გულიკაშვილი, კონცერტმაისტერი ლია ბურჯანაძე). მათ მიერ შესრულდა ორი სიმღერა – ვაჟა აზარაშვილის – „ჩემი სამშობლო“ და შაინსკის „ჩუნგა-ჩანგა“. საანგარიშო კონცერტზე შესრულდა ქართველ, რუს და უცხოელ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგების: თეა ხატიაშვილის, მირცა ჯაფარიძის, ნელი ყანჩაშვილის, ნინო ოსიყმიშვილის, ლია ნაცვლიშვილის, მაყვალა ჯინჭარაძის, მარინა ურდულაშვილის, ელზა ხიპაშვილის, ლალი სომხიშვილის, ლეილა შეყილაძის და დარეჯან ეგეტაშვილის მოსწავლეები. თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს ეტყობოდა გამოცდილი პედაგოგის ხელწერა – დახვეწილი მანერებითა და შესრულების ტექნიკით. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: თამარ გოდერძიშვილი, თათია გოდერძიშვილი, მარიამ საგინაშვილი, ელენე გიუნაშვილი, მარიამ ყანდინაშვილი, ნინო ადუაშვილი, ანუკი კერატიშვილი, თინათინ დალბაშვილი, ნატა ქაიხოსროშვილი, მარიამ ესაიაშვილი, ფიქრია საგინაშვილი, მედეა სიფროშვილი, ზურაბ კაკუტაშვილი, ლია ჭიაბერაშვილი, ნინი გაბროშვილი, მარიამ გაგნიაშვილი, ნანა მამისაშვილი, ნათია თედიაშვილი და ნინო კუჭუაშვილი.

საანგარიშო კონცერტზე დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საგარეჯოს სამუსიკო სკოლის ცხოვრებაში ის დიდი ტრადიციები კვლავ დიდი პასუხისმგებლობით გრძელდება, რასაც ჯემალ ბურჯანაძემ და ნელი ყანჩაშვილმა, მათ გვერდით მყოფმა პედაგოგებმა დიდი სიყვარულით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული რუდუნებით, ნაყოფიერი შრომით საფუძველი ჩაუყარეს. მათ ყველას დაანახეს და დაარწმუნეს, რომ მუსიკა ერის სამოსია და ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს დაწყებითი სამუსიკო განათლება. კარგი მსმენელის გაზრდაც დიდი მიღწევაა სკოლისათვის, აღარ ვლაპარაკობთ მათ მიერ აღზრდილ მოსწავლეებზე, რომლებმაც უკვე მიიღეს მუსიკალური განათლება და ჩამოყალიბდნენ პედაგოგებად. ამჟამადაც ამავე სკოლაში ბევრი მოსწავლე წარმატებით აგრძელებს სწავლას და კვლავაც იმედი გვაქვს, რომ ასე გაგრძელდება მომავალშიც. ამისათვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ სკოლის პედაგოგები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით და არც სამომავლოდ დაზოგავენ ცოდნასა და ენერგიას.

კონცერტის დასრულებამდე პედაგოგებმა შეასრულეს ჯემალ ბურჯანაძის ორი სიმღერა: „წვიმს“ და „ვარდობის თვე“. კონცერტის დასასრულს სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ორ როიალზე შეასრულეს ჯ. ბურჯანაძის მიერ დამუშავებული ქართული ცეკვების პოპური. მათ მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ნომერმა მაყურებელთა ოვაცია გამოიწვია, არ წყდებოდა აპლოდისმენტები და მათი თხოვნით ქალბატონებმა ლიამ და თეამ კიდევ ერთი ნომერი შემოგვთავაზეს.

მშობლები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები კმაყოფილებას და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. კონცერტს ესწრებოდა ქალაქის რწმუნებული მარიკა თოლომაშვილი, საგარეჯოს რესურს-ცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების უფროსი ბესიკ ღვინაშვილი და სხვა.

კონცერტის დასასრულს ბესიკ ღვინაშვილმა მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს ლია ბურჯანაძეს და პედაგოგებს გაწეული შრომისათვის და კვლავაც წარმატებები უსურვა.

ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარ სპეციალისტს ლია კოტტაშვილს.

განათლება

პატარები „ციცქნა იას დღეობაზე“

საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის მეორეკლასელებმა პედაგოგ ნანული ბილანიშვილთან ერთად სკოლის სააქტო დარბაზში მაყურებლებს საოცრად დახვეწილი, საინტერესო სპექტაკლი შესთავაზეს. მაყურებელთა უმრავლესობას სპექტაკლში მონაწილეთა არტისტიზმი და ბუნებრიობა არ გაჰკვირვებია. ნანული ბილანიშვილი, მათი პედაგოგი არაერთი საბავშვო სპექტაკლის სცენარის ავტორი და რეჟისორია, საგარეჯოს სახალხო თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მსახიობი, რომელსაც 40-მდე როლი აქვს შესრულებული. სხვადასხვა დროს მისმა მოსწავლეებმა სცენაზე გააცოცხლეს ნანული მასწავლებლის მიერ გადამუშავებული სპექტაკლები „ცერცეტა“, „პეპი გრძელიწინდა“, „ნაცარქექია“,,,გოგლაურა“. ამჯერად კი გივი ჭიჭინაძის „ციცქნა იას დღეობა“ წარმოადგინეს. აქ ყველაფერი იყო: დეკორაციები, კარგად მორგებული როლები, არტისტიზმი და რაც მთავარია, გუნდური მუშაობა – ყველა ერთნაირ პასუხისმგებლობას განიცდიდა თითოეულის მიერ როლის შესრულებასა თუ, თითოეული დაალოგის გაჟღერებაზე. დიახ, სპექტაკლის ოცივე მონაწილე ერთნაირი ხალისითა და ინტერესით ასრულებდა თავის როლს, იყო ეს ია (მარიამ ბაზერაშვილი), ენძელა (სალომე პაპუაშვილი), ზაფრანა (მარიამ ქვლივიძე), ჩიტისთავა (ნინო ტოპეშაშვილი), ზამბახი (ელენე ხუციშვილი), ფურისულა (მარიამ ბეჟიტაშვილი), შროშანი (მაკა არავიაშვილი), ცისთვალა (ანა ლუკაშვილი), თეთრი ყვავილი (ნათია ვეშაგური), ფუტკარი (გელა ილაური), მერცხალი (ლუკა მალასიძე), I თუ II პეპელა (მარიამ ნანუაშვილი, გიორგი ბეგაშვილი), ჭიამაია (ეკა ბეჟანიშვილი), დათვი (შახი მამედოვი), ნაკადული (დათო როსტომაშვილი, შოთა ნათიძე, ლიკა ალექსაშვილი, კოტე ნარეკლიშვილი), ნიავი (კობა მექვევრიშვილი). სპექტაკლის მხატვრები ამავე სკოლის პედაგოგი ირმა შველიძე და მეხუთეკლასელი თამარ დარისპანაშვილია.

სპექტაკლის დადგმის იდეა პედაგოგს თავის მოსწავლეებთან ერთად მას შემდეგ დაებადათ, რაც სასკოლო პროგრამით ქართული ენის გაკვეთილზე ვლადიმერ ასლამაზიშვილის მოთხრობა „გაზაფხული მოვიდა“ შეისწავლეს. კლასგარეშე საკითხავად კი „ციცქნა იას დღეობა“, სადაც ყვავილებს ერთმანეთის მიმართ უფრო თავაზიანი მიმართვა ჰქონდათ და ამ სპექტაკლში ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებაც აზეიმეს.

მილოცვა

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია პირველი შვილის – **ელენეს** შეძენას ულოცავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს **თეონა ტაველიშვილსა** და მის მეუღლეს **დათო ბორაშვილს**! გაიზარდოს სასახელო ქართველი ქალი.

საქველმოქმედო აქცია

იქ, სადაც არ არის სამედიცინო პუნქტი და აფთიაქი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციამ „სპექტრმა“ (თავმჯდომარე სოფიკო მანძულაშვილი-ხარებავა) და შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ საგარეჯოს მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრის (დირექტორი კოტე გრძელიძე) მედიკოსებმა საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს სოფელ ვერხვიანის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად. იმის გამო, რომ სოფელში არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი და არ არის აფთიაქი, მათ უფასო სამედიცინო კვლევები ჩაუტარეს აქაურებს. პარალელურად, საქველმოქმედო ფონდმა „ავერსმა“ 1100 ლარის ღირებულების პირველადი დახმარების მედიკამენტები დაურიგა მოსახლეობას.

„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს ნინო გვაგვალიას დეიდის

ნაირა ვეკუა-ძუთელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საჯარო განხილვების შესახებ

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია გაცნობებთ, რომ რუსთავი-თელავი-ჟინვალის მაგისტრალური გაზსადენის რუსთავი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2013 წლის 3 ივლისს, 14 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №73 და 2013 წლის 4 ივლისს, 14 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქუჩა №9.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს რუსთავი-საგარეჯოს მონაკვეთზე 25 კმ სიგრძის მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობას.

დაგეგმილი სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია:

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში (ქვემოთ მითითებულ მისამართზე) და კორპორაციის ვებგვერდზე http://www.gogc.ge/ge/enviroenmentassassement;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა (გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №73);

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (საგარეჯო, დავით აღმაშენებლის №9);

პროექტში "ორჰუსის ცენტრი საქართველოში" (თბილისი, გულუას №6, www.aarhus.ge, ელექტრონული ვერსია).

გთხოვთ, წინადადებები და შენიშვნები წერილობით მიაწოდოთ სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას არაუგვიანეს 2013 წლის 29 ივნისისა, შემდეგ მისამართზე:

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი 21
+995 (32) 2 24-40-40 შიდა ნომერი 422
DCC@GOGC.ge

რეკლამა

ფერადი ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ.

ფერადი ძსეროქსი ფოტოგრაფიული ხარისხით;

ბეჭდვა მაისურზე, ჭიქაზე, ძვაზე, ზურგჩანთაზე, ტორტზე და ა.შ. სრული ინფორმაცია საიტზე: WWW.mad-studio.ge.

ქ. საგარეჯო. ტელ:

571 717 889;

599 17 26 22.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru